წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23
2015 წლის 27 თებერვალი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 მარტის №15 დადგენილებით (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.122.016109, თარიღი 30/03/2012) დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №3) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე მამისეიშვილს.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ახალაძე**

დანართი №3

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ

წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სათამაშო ბიზნესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის კანონით დადგენილი სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით დაწესებული აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივ ბიუჯეტში.

მუხლი 2. მოსაკრებლის ოდენობა

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს:

ა) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 1500 ლარი;

ბ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

გ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 30 000 ლარი;

დ) ლატარიის მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 10%;

ე) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 1000 ლარი.

მუხლი 3. მოსაკრებლის გადამხედელები, გადახდის წესი და ვადები

მოსაკრებლის გადამხდელებს, გადახდის წესს და ვადებს ადგენს კანონმდებლობა.